ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! #40 (10027) • 14 oqtomberi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადება

ბოლო პერიოდში გავრცელებული განცხადებების გამო, რომელიც შეეხებოდა თითქოსდა საკრებულოს თავმჯდომარის და სხვა საკრებულოს დეპუტატების მიერ, საარჩევნო კანონმდებლობის უხეშად დარღვევას, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, გავაკეთოთ მარტივი საკანონმდებლო განმარტება, რომელიც ნათლად ადასტურებს გავრცელებული ინფორმაციის სიმცდარეს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიტიკურ თანამდებობის პირებად მოიაზრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი. ამავე კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულებისას, მაგრამ ეს შეზღუდვა ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არ ვრცელდება ამ კოდექსით განსაზღვრულ პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე.

უფრო მეტი სიცხადისთვის უცვლელად გთავაზობთ, უწყებათშორისი კომისიის 2013 წლის 23 სექტემბრის რეკომენდაციას:

„ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს სამუშაო საათების განმავლობაში ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც „საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით ითვლებიან პოლიტიკური თანამდებობის პირებად. ესენი არიან: წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს, წევრები; საკრებულოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (მერი/გამგებელი) „**(http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Frekomendaciebi%2Fpdf%2FMultimedia_Files_rekomendaciebi_23.09.GEO.pdf)**

აღნიშნული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საკრებულოს წევრებს და თავმჯდომარეს, სრული უფლება აქვთ, სამუშაო საათებში, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო აგიტაციაში და მათი ეს ქმედება არ ცდება კანონის ფარგლებს.

რაც შეეხება რიგითი პოლიტიკური პირების აბსურდულ მოსაზრებებს, საკრებულოს თავმჯდომარე არ მიიჩნევს საჭიროდ, კომენტარი გააკეთოს პროვოკაციულ განცხადებებზე, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში არაჯანსაღი აზრის დაფუძნებისკენ.

Ე

უფასო პოლიტიკური რეკლამა

"ლურჯი მელიების" ეპოქა 27 ოქტომბერს დასრულდება

ნინო ბურჯანაძის ოზურგეთის საარჩევნო შტაბი ეხმაურება პრესაში ოზურგეთის საკრებულოს თავ–რის, ავთანდილ სურგულაძის განცხადებას, იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე იგი არ მიიჩნევს საჭიროდ კომენტარი გააკეთოს „პროვოკაციულ განცხადებებზე, რომელიც საზოგადოებაში არაჯანსაღი აზრის დაფუძნებისკენ არის მიმართული“.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საზოგადოებაში არაჯანსაღი აზრის ზნეობრიობად წარმოჩენა და უფრო მეტიც, მისი ბუნებრივ მოთხოვნილებად დამკვიდრების მცდელობას ღიად და აშკარად ახორციელებენ, ე.წ. კოჰაბიტაციის პროცესს ამოფარებული ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები.

ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბი თვლის, რომ ოზურგეთის საზოგადოება, როგორც ამომრჩეველი, ერთ–ერთი ღირსეული და მაღალინტელექტუალი საზოგადოებაა და ძალიან კარგად ახსოვს, 5 ნომრიან წითელმაისურში გამოწყობილი, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი, ავთო სურგულაძე, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ, ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო შეხვედრების ორგანიზატორი და შემსრულებელი, დღეს „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის შეხვედრისთვის რაზმავს ასევე მასავით ჩაკოჰაბიტირებულ საკრებულოს სხვა წევრებს.

უფრო მეტიც, ჩვენს პროტესტს, რომელიც საზოგადოების უმრავლესობის აზრს გამოხატავს, საკრებულოს თავ–რე „რიგითი პოლიტიკური პირების აბსურდულ მოსაზრებებს“ უწოდებს და თან გვმოძღვრავს – საარჩევნო კოდექსის არც ერთი მუხლი არ დამირღვევიაო, რითაც ფაქტიურად დასცინის საზოგადოებას.

საკრებულოს თავმჯდომარე პრესაში ამბობს, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ სულ სხვა, რეალობა დაუდგა და ამ რეალობიდან გამომდინარე აღიარებს: „ჩვენ თვითონ დავშალეთ საკრებულოში ერთიანი ნაციონალური მოძარობის ფრაქცია და შევქმენით ახალი ფრაქცია „ერთობა“. შემდეგ მოვიდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და გვითხრეს, რომ თქვენნაირი ადამიანები გვჭირდებაო და ძალიან გთხოვთ, დაგვიდექით გვერდითო.“(გურია ნიუსი, 08.10.2013). კომენტარი თქვენთვის მოგვინდია. როგორც ჩანს, ფრაქცია „ ერთობა“ ე.წ. გადამყვანი პუნქტი აღმოჩნდა ყოფილი ნაც-აქტივისტებისთვის, რომლებმაც ჩათვალეს, ამ ეტაპზე ოცნება სჯობს, „საქმეს–ლაპარაკის ნაცვლად“–ო, საღებავიც იშოვეს და "ლურჯ მელიებად" მოგვევლინნენ.

ნინო ბურჯანაძის ოზურგეთის საარჩევნო შტაბი თვლის, რომ დღევანდელი საარჩევნო კოდექსი საზოგადოებაზე მანიპულირების და ზემოქმედების სრულ თავისუფლებას იძლევა, რომლის თანახმადაც ხან წითელ და ხან ლურჯ მაისურებში გამოწყობილ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს, რომლის მაგალითიც დღეს ბევრი გვყავს ადგილობრივ ხელისუფლებაში, უზნეობის „გაპრავების“ საშუალება ეძლევათ. დღეს, საზოგადოებას, როგორც არასდროს, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან წინასწარ მიმდინარეობს ადამიანების შეგუება გაყალბებული არჩევნების შედეგებთან.

ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბი მოუწოდებს საზოგადოებას, ხმა მისცეს ერთადერთ პოლიტიკოსს, რომელიც აღადგენს სამართლიანობას. ნინო ბურჯანაძის გამარჯვების შემდეგ, საქართველოში და ოზურგეთში მედროვეების ხანა დასრულდება, რადგან რეალურად დასრულდება კოჰაბიტაციაც და მისი უზნეო გამოვლინებებიც.

ტრენინგი რეგიონის ჟურნალისტებისთვის

ქ. ბათუმში, სასტუმრო „რედისონში“ ცეესკოს ტრენერებმა ჩაატარეს ტრენინგი აჭარა-გურია-სამეგრელოს ჟურნალიტებისათვის.

განიხილეს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები. მედიას გადასცეს შესაბამისი ლიტერატურა საარჩევნო ცვლილებითურთ.

შეიქმნა გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერი დარბაზი

ქ. ოზურგეთში, რკინიგზის სადგურის პირველ სართულზე, იქ, სადაც ადრე ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ მხარდამჭერი, შემდეგ წლების მანძილზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“შტაბი იყო, ამჟამად გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერი დარბაზი შეიქმნა. დარბაზში არის როგორც ძველი, ისე ახალი სახეები.

დარბაზში მხარდამჭერთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს.

ერთი ინტერვიუს გამო

გაზეთ „ალიონის“ 30 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილთან სათაურით „კომისიამ აქცენტი ძირითადად გამოცდილებაზე გააკეთა.“ინტერვიუს გამოეხმაურა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინა მოწვევის დეპუტატი, სამანდატო და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ჩხატარაშვილი.

გთავაზობთ ავტორის ტექსტს უცვლელად. (რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს წერილში მოყვანილი რამდენიმე სიძულვილის ენის შემცველი სიტყვებისა არაკორექტული გამონათქვამების გამო)

როგორ ატყუებს საზოგადოებას ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და როგორ იბრძვის იგი დემოკრატიის წინააღმდეგ

(გაზეთ „ალიონთან“ ერთი საუბრის გამო; „ალიონი“№38, 30 სექტემბერი, 2013 წ.)

საჯარო კოდექსის მიხედვით–საარჩევნო პროცესის დანიშნულება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევაა და სხვა არაფერი. არ ვიცი, ამას როგორ აღნიშნავდა საბა თავის ლექსიკონში, მაგრამ საქართველოში არჩევნები ბევრ რამეს ნიშნავს; კერძოდ, საოლქო კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ „ისეთი კადრები დაინიშნა საარჩევნო უბნებზე, რომლებსაც წინა არჩევნების დროს არ ჰქონდათ მიღებული შენიშვნა, გაფრთხილება და იყო კვალიფიციური“(სტილი დაცულია).

თქვენ თუ გქონდათ შენიშვნა ან გაფრთხილება „ბატონო“ზვიად, თქვენი საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში? გაიხსენეთ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა 5-6 იანვრის ღამეს თქვენ გეძინათ და რომ არა საოლქო კომისიაში მივლენილი ზოგიერთი პირები, რომელთა გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ,

▶▶▶ გვ-2

საქართველოს პარლამენტის წევრი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კავაჭანტირაძე მწუხარებას გამოთქვამს თავისი თანასოფლელის **ირაკლი ზაქრაძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

14 ოქტომბერი ორშაბათი	15 ოქტომბერი სამშაბათი	16 ოქტომბერი ოთხშაბათი	17 ოქტომბერი ხუთშაბათი	18 ოქტომბერი პარასკევი	19 ოქტომბერი შაბათი	20 ოქტომბერი კვირა
მზე, ღრუბელი +11+19	მზე, ღრუბელი +10+19	მზე, +16+25	მზე, +16+24	მზე, ღრუბელი +17+27	მზე, ღრუბელი +14+26	წვიმა +8+14

ერთი ინტერვიუს გამო

არჩევნები ოზურგეთში ჩაიშლებოდა.

სწორედ ამის და სხვა დარღვევების გამო გამოგაპანღურათ ოლქის თავმჯდომარეობიდან მაშინდელმა გუბერნატორმა რამაზ ნიკოლაიშვილმა, გამგებელმა ვალერი ჩიტაიშვილმა და 2008 წლის 21 მაისის არჩევნები „შენს გარეშე ჩაატარეს.“ „მაგალითი“ გიჩვენეს, როგორ უნდა მუშაობა. ამავე დროს, გუბერნატორის მოადგილის მამუკა ლეჟავას, გამგებლის ვალერი ჩიტაიშვილის მუქარითა და ზეწოლით საოლქო კომისია დაატოვებინეს კომისიის კიდევ ორ წევრს, როცა ერთი წევრის ოჯახში 4-დან 10 იანვრის ჩათვლით მიცვალებული ესვენა და კომისიის წევრი სამძიმრის მიღების ნაცვლად სახელმწიფოებრივ მოვალეობას ასრულებდა. (ასეთი მაღალი ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი დონე არც თქვენ ზვიად, არც მამუკა ლეჟავას და არც ვალერი ჩიტაიშვილს არ გაგაჩნიათ). სხვათა შორის, სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულებისთვის მაშინდელმა ცეესკოს თავმჯდომარემ ამ პიროვნებას ოფიციალური მადლობა გადაუხადა, ხოლო ამ პიროვნებას ოზურგეთის „სახელმწიფო“ მოხელეებმა კომისიის წევრობა დაატოვებინეს და მათთვის „არასაიმედოთა“ სიაში შეიყვანეს.

საინტერესოა, რომ ამ საქმეში ლომის წილი შეასრულა ვალერი ჩიტაიშვილმა, როცა მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდა და ემუქრებოდა ამ პიროვნებებს, რათა მათ თავისი ხელით დაეწერათ განცხადებები სამსახურიდან წასვლაზე. ამავე დროს გამგებლის მიმართვის ტექსტი იყო საინტერესო: „ხომ იცით, რა მგლების ხროვა ჩამოგვივიდა თბილისიდან (იგულისხმება ნიკოლაიშვილი-ლეჟავა), თავს მომჭრიან, ცოცხლად დამმარხავენ. თქვენ უნდა გადამარჩინოთ, სამაგიეროდ გუბერნატორობას მპირდებიან. თუ დამეთანხმებით, თქვენი პატივისცემა ჩემზე იყოსო, თუ არა და მერე თქვენს თავს დააბრალეთო!“

დაწერეს ამ პიროვნებემა განცხადებები წასვლაზე, მოითქვა სული ჩიტაიშვილმა, გახდა გუბერნატორი და დაიწყო ამ ხალხის მიმართ სამსახურებრივი რეპრესიები.

დაუფასდა გუბერნატორს ამაგი და წინა არჩევნების დროს დანიშნეს ნაც. მოძრაობის საარჩევნო შტაბის უფროსად. და ჰოი საოცრებავ, აქ გამოვლინდა მისი ამ საქმისადმი უცოდინარობა. მისმა შტაბმა არჩევნები კი არ წააგო, „ჩაისვარა.“

მივყვეთ თანმიმდევრობას: 2008 წლის მაისის არჩევნების შემდეგ საოლქო კომისიის თავმჯდომარედ კვლავ ზვიად თენიეშვილი დანიშნეს (მკაცრი მითითებით). და თქვენ ზვიად, ნიკოლაიშვილი-ლეჟავა-ჩიტაიშვილის „მონამ“ უარი თქვით ძველი კომისიის წევრების დაბრუნებაზე, სამაგიეროდ, თქვენს მეუღლესა და ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ახლო ნათესავს მიეცით რეკომენდაცია და მომდვნო არჩევნებშიც „გაიმასქენოთ.“ არ იზამდით და როგორც „მონებს“, მხრებზე თავი არ შეგრჩებოდათ შენ და ვალერი ჩიტაიშვილს.

სამაგიეროდ, ვალერი ჩიტაიშვილი გუბერნატორად, თქვენ საოლქო კომისიის თავმჯდომარედ, ლეჟავა დეპარტამენტის უფროსად, სხვები მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ. კონტროლი თქვენს ქმედებაზე დაევალა გუბერნატორს.

ცეესკომ 2013 წელს ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში წევრობაზე გამოაცხადა 3 კონკურსი 2 ადგილის დასაკავებლად. აქ ჩაერთო ჩიტაიშვილი-ხარატიშვილის ტანდემი და კვლავ „გაამარჯვებინეს“ თქვეს მეუღლეს თამთა გიორგაძეს და გუბერნატორის ფავორიტს ნათია ცეცხლაძეს, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ორ ადგილზე მუშაობდა გუბერნიაში და ოლქში.

ახლა საუბნო-საარჩევნო კომისიებში თქვენი ბრძანებით დანიშნე ერთი ოჯახის წევრები, დები, ძმები, მეუღლები, ნათლულები და ა.შ. საუბნო კომისიებში მოკალათდნენ ოჯახური კლანები.

ამომრჩევლებო! გეკითხებით მე თქვენ, გაქვთ იმედი, რომ ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდება?

იგივეს გეკითხებით პოლიტიკურ პარტიებს, განურჩევლად პოზიციისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: თქვენ, გაქვთ იმედი, რომ ოზურგეთში არჩევნები სამართლიანად ჩატარდება? თუ გაქვთ იმედი, მერე არ დაიწყოთ ამდენი და ამდენი პროცენტი მომაკლეს, თორემ ესა და ეს კანდიდატი გაიმარჯვებდაო.

და თუ არ გაქვთ იმედი, იღონეთ რამე, ოლქში, უბნებში წარადგინეთ სანიმუშო, გამოცდილი, მიუკერძოებელი წევრები, დამკვირვებლები, მეთვალყურეები, ამ დიდი საარჩევნო ოჯახურნათესაური კლანის დასამარცხებლად.

იბრძოლეთ ამ ოჯახური კლანის დასამარცხებლად, თორემ მერე გვიანი იქნება. კარგად ჩახედეთ საუბნო კომისიების შემადგენლობას, ვინ დაინიშნენ, როგორ დაინიშნენ, და რა დავალება მიიღეს მათ.

კიდევ გაფრთხილებთ, სანამ გვიანი არაა, თორემ შემდეგ გვიანი იქნება „თითზე კბენანი.“

თენგიზ ჩხატარაშვილი.

გაზეთი „ალიონი“ დაუკავშირდა გურიის გუბერნატორს **ვალერი ჩიტაიშვილს,** რომელმაც ჩხატარშვილის ბრალდებას საოლქო კომისიის ორ წევრზე ზეწოლის შედეგად განცხადებების დაწერის შესახებ, აბსურდული უწოდა და თქვა, რომ ყოველგვარ ბრალდებებს მტკიცებულება სჭირდება. ამ შემთხვევაში ადამიანების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს.

ზვიად თენიეშვილი, ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: –2006 წლიდან დღემდე მე ვმუშაობ ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიაში და არ მიმიღია არანაირი სიტყვიერი ან წერილობითი გაფრთხილება. 2009, 2012 წლებშიგავლილი მაქვს „ბრიდგე“-ს კურსი, მაქვს შესაბამისი სერთიფიკატი, 2006 წლის 5 ოქტომბრის და 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების კარგად ჩატარებისათვის მიღებული მაქვს შესაბამისი მადლობის სიგელები.

რაც შეეხება ჩხატარაშვილის მთავარ ბრალდებას მეუღლის საოლქო კომისიაში დანიშვნის შესახებ, გიპასუხებთ: კანონის, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ, (თავი III, მუხლი 13, პუნქტი 7) წერია : „თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ არ შეიძლება დაინიშნოს ამ პირის ახლო ნათესავი, კონკურის წესით დანიშვნის გარდა“. (13.02. 2004, №3314).

თამთა გიორგაძე აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა, 2008 წლის ივნისში. ჩვენ 2008 წლის ბოლოს დავქორწინდით. ამჯერად მან კონკურსში მიიღო მონაწილეობა და კონკურსის წესით დაინიშნა.

რაც შეეხება უბნებში ერთმანეთის ნათესავების დანიშვნას, გეტყვით, რომ საუბნო კომისიებში დანიშვნაზე მივიღეთ 816 განცხადება და აქედან 372 წევრი დავნიშნეთ.

კომისიის წევრთა შერჩევა მოხდა მათი გამოცდილების მიხედვით და მასში მონაწილეობა მიიღო საოლქო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

გარდა ცეესკოს მიერ დანიშნული წევრებისა, 7 წევრი არის კვალიფიციური სუბიექტის წარმომადგენლები. თითო წევრი ჰყავს: რესპუბლიკურ პარტიას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, კონსერვატორულ პარტიას, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ეროვნულ ფორუმს, „ჩვენი საქართველო–თავისუფალ დემოკრატებს,“ „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს.“

27 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება ცივილურად, ისე რომ ყველა ხმა დაცული იქნება.

მისაბაძი, სამაგალითო

„ასწიეთ მაღლა, აიტაცეთ ღრუბელსა ზედა

ქალი – მშრომელი, ქალი–დედა, ქალი ლეგენდა.“

როცა ცნობილი ქართველი პოეტის, ქალბატონ მარიკა ბარათაშვილის ამ სტრიქონებს ვიხსენებ, უნებურად მახსენდება სურვილი ვადიდო დედა, ოჯახის დედაბოძი. ისაა ჩვენი მომავლის, სიცოცხლის წყარო, ის აკეთილშობილებს ყველაფერს, რასაც მისი მადლიანი ხელი შეეხება. რა უჩვეულოდ არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, ამ წერილში ჩემი ბიძაშვილის მეუღლეზე, სწორედ ასეთ მადლმოსილ ქალბატონ თინა კუპრაძე-მამულაიშვილზე მინდა გიამბოთ, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად ესადაგება ზემოთ წარმოდგენილ სტრიქონებს.

ლანჩხუთის რაიონის სოფ. გულიანი, ერთ-ერთი ლამაზი სოფელია გურიაში, არა მარტო მომხიბვლელი ბუნებით, მთაბარითა და მშვენიერი ველ-მინდვრებით, არამედ, შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანებითაც. დიდი ტრადიციების ამ სოფელში სანდრო და თამარ კუპრაძეების ლამაზ ოჯახში დაიბადა 1926 წელს ქალბატონი თინა. ჯერ კიდევ დაწყებითი კლასების მოსწავლე მხარში ედგა დედას –ქალბატონ თამარს ჩაის ფოთლის კრეფაში და აქედან მიღებულ თანხას სასკოლო სახელმძღვანელოების შესაძენად იყენებდა. 1943 წელს ქალბატონმა თინამ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. იგი აქ სწავლის წარჩინებული იყო, მაგრამ III კურსის სტუდენტმა ოჯახური პირობების გამო სწავლა მიატოვა და სოფელში დაბრუნდა. მომდევნო წლებში მან ბედი დაუკავშირა ომგადახდილ ბაილეთელ ახალგაზრდას ბიჭიკო მამულაიშვილს, რომელსაც კოლმეურნეობამ ერთ-ერთი მსხვილი ბრიგადა ჩააბარა. ქალბატონი თინაც მეუღლეს ამოუდგა გვერდში. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომ იტყვიან წელებზე ფეხს იდგამდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ თავიანთი ლამაზი ოჯახის გაძლიერებისა და საზოგადოებაში თავიანთი ადგილის დამკვიდრებისათვის. მალე მათ გოგონა შეეძინათ, მაგრამ ეს სიხარული მალე გაქრა. გარდაიცვალა ბიჭიკო მამულაიშვილი. დარჩა ახალგაზრდა, ფიზიკურად სუსტი, მაგრამ მორალურად მტკიცე ნებისყოფის ქალი ერთადერთი მცირეწლოვანი შვილის ამარა, მაგრამ მას გული არ გაუტეხია –ყველაფერ გასაჭირს მარჯვედ შეხვდა. კოლმეურნეობაში მუშაობდა. ამასობაში პატარა იაც წამოიზარდა, საშუალო სკოლა დაამთავრა და მანაც მისაღები გამოცდები ჩააბარა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. შვილის მოვლა-პატრონობის მიზნით, ქალბატონმა თინამ სოფელში სახლკარი გაყიდა და ბათუმში დასახლდა. იამ წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და ბათუმის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. შექმნა ოჯახი, შეეძინათ ორი ვაჟი, მაგრამ მეუღლე მასაც გარდაეცვალა. იამაც კარგად აღზარდა ორი ვაჟკაცი, მამუკა და ჭაბუკა სურმანიძეები, რომლებიც ანსამბლ „ბათუმის“ წევრები არიან. როგორც იცით, ამ ანსამბლს ოზურგეთელი თემურ დოლიძე ხელმძღვანელობს.

მამუკას მეუღლე, ქალბატონი მაკა ექიმ-თერაპევტია და ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობს. ორი ქალიშვილი ჰყავთ. ჭაბუკას მეუღლე, ქალბატონი მეგი პედაგოგია და აღმზრდელ მასწავლებლად მუშაობს საბავშვო ბაღში. ჰყავთ სამი შვილი –ორი გოგონა, ერთი ვაჟი.

ქალბატონ თინას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ შვილიშვილები, რძლები და ყველაფერს აკეთებდნენ მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ერთი წლის წინ გარდაიცვალა ქალბატონი თინა. იგი სოფ. ბაილეთში, მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

როცა თვალს ვავლებთ ქალბატონი თინას ცხოვრებას, მისი პიროვნება შეიძლება შევადაროთ არაერთ ლიტერატურულ პერსონაჟს, ყველა დედას, ვინც ცხოვრების უკუღმართობამ, ბედისწერამ ცალუღელა დატოვა, მაგრამ მათ სინდისით, ნამუსით ზიდეს მძიმე ტვირთი, ვინც არ შებღალა ქართველი ქალის მანდილი, სახელი ღირსება. ვინც არ შეუშინდა ასეთი ქალის ცხოვრების გზაზე ჩასაფრებულ მოულოდნელობას და საფრთხეს და ამაღლებული დარჩა ქვეყნის, საზოგადოების და შვილების წინაშე.

დიახ! ცხოვრობდა ასეთი ქალი ჩვენს შორის, რომლის მიერ განვლილი გზა კარგი მაგალითია ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

ამირან მამულაიშვილი,
სწავლული აგრონომი,
ჟურნალისტი.

საქმის სიყვარულით

ქ. ოზურგეთში, 9 აპრილის ქუჩა №7-ში მდებარეობს სათვალეების მაღაზია „ოპტიკა,“ რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს რუსუდან ინწკირველი -ანთიძე.

ამ მაღაზიაში მუშაობს მეხუთე თანრიგოსანი, თავისი საქმის კარგი მცოდნე ირმა სოსელია, რომელიც აწარმოებს სათვალეების ჩარჩოებისა და შუშების ექიმის მიერ მითითებული ნომრების მიხედვით შეცვლას. მათი ნახელავი ყოველთვის მოწონებას იმსახურებს, რითაც მომხმარებელი ყოველთვის კმაყოფილია და მადლობას უხდიან და ჯანმრთელობას უსურვებენ მათ.

ვალერიან კვერღელიძე,
მომხმარებელი.

ოზურგეთის თეატრის წარმატებული გამოსვლა საერთაშორისო ფესტივალზე

ნუგზარ ოთარიშვილი



5-8 ოქტომბერს, ქ. თბილისში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში რეგიონებიდან ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, თელავის და ჭიათურის თეატრები მონაწილეობდნენ. ამ ფესტივალის მიმდინარეობის შესახებ თეატრის დირექტორს **ზაზა ჯინჭარაძეს** ვესაუბრეთ:

—ოზურგეთის თეატრმა ოთარ ბაღათურიას „მეფე ლირი ღარიბთა თავშესაფარში“ წარადინა ფესტივალზე (რეჟისორ ოთარ კუტალაძის დადგმა). ჩვენ ეს სპექტაკლი 7 ოქტომბერს სანდრო ახმეტელის თეატრის სცენაზე ვითამაშეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებლით გადაჭედილ დარბაზში. მათი ოვაციები დაახლოებით 20 წუთის განმვალობაში გრძელდებოდა.

—როგორი შეფასება მისცეს თეატრმცოდნეებმა თქვენს გამოსვლას?

—უპირველესად დიდი მადლობა პიესის ავტორისაგან მივიღეთ. ჩვენ ავტორის ტექსტს მივყვებით (მოგეხსენებათ, როგორ უყვართ რეჟოსორებს ტექსტის „იმპროვიზაციები“) ასევე მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლს თეატრმცოდნეთა ჯგუფმა: მარინა ვასაძემ, გუბაზ მეგრელაძემ, ზაზა სოფრომაძემ, მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ.

—როგორია ოქტომბრის თქვენი თეატრალური კალენდარი?

—ახალ სეზონს უახლოეს დღეებში აღნიშნული სპექტაკლით გავხსნით.

25-28 ოქტომბერს, ქ. თბილისში ტარდება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, სადაც ჩვენი მეგობარი, ლიტვის რესპუბლიკის, პანევეჟისის თეატრი მიიღებს მონაწილეობას. ისინი ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ ვასილ ჩიგოგიძის მიერ განხორციელებულ დადგმას „გამარჯობათ ხალხო“წარმოადგენენ. ამ სპექტაკლში ილარიონის როლს ჩვენი თეატრის მსახიობი ნუგზარ ბარამიძე შეასრულებს.

28-ში ვფიქრობთ რუსთავის თეატრის სცენაზე ერთობლივად წარმოვადგინოთ აღნიშნული სპექტაკლი. ერთი ნაწილი ლიტვურ ენაზე, ჩვენი სტუმრების დადგმა იქნება , ხოლო მეორე ნაწილი— ოზურგეთის თეატრის დადგმა. ორთავე ნაწილში ილარიონის როლს ნუგზარ ბარამიძე შეასრულებს.

—გისურვებთ წარმატებებს.

ქართულ ფილმებში ასახული თემები და საზოგადოებრივი შეხედულებები

ნუგზარ ოთარიშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში რიგით მე-5 ღია ლექცია გაიმართა ჰაინრიხ ბოილის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს 2013 წლის პროექტის „ვის ეშინია ფემინიზმის?“ფარგლებში. წარმოდგენილი იყო თემა: „რეპრესირებული სექსუალობა ქართულ კინოში.“ ფონდ „ტასოს“წარმოადგენელმა თამთა თათარაშვილმა რამდენიმე ქართული ფილმის მაგალითზე მიმოიხილა აღნიშნული თემა. თუმცა ამ მიმართებით, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ფილმის „სხვისი შვილები“განხილვამ, სადაც წარმოდგენილი იყო ფილმის პერსონაჟების ურთიერთდამოკიდებულება და საზოგადოების შეხედულებები. შეხვედრის ადგილობრივი კოორდინატორები გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის,“ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი.

"იადონი" ინგლისში

"მოხდენილად მომავჯადოებელი, გარდამავალი, ლივლივა ჩახვევები,რომელიც უზარმაზარ გავლენას ახდენს მსმენელზე"-ეს შეფასებები ისმოდა ინგლისის ქალაქ სვინდონში ანსამბლ "იადონის "გამოსვლის შემდეგ

უკვე ოცდაათი წელია, ჩარლტონის სამეფო პარკში კომპოზიტორ პიტერ გაბრიელის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი "ვომადი" ტარდება.წელს, ამ ფესტივალში საქართველო პირველად იღებდა მონაწილეობას,ჩვენი ქვეყნიდან შერჩეული იქნა ოზურგეთის მუნიციპალურ კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი "იადონი".ერთსაათიანმა საკონცერტო პროგრამამ მაყურებელთა ოვაციების ფონზე ჩაიარა.კონცერტის დასრულების შემდეგ მოხალისეებს "იადონის "წევრებმა ქართული ხალხური სიმღერები შეასწავლეს.ასევე ეროვნულ ტანსაცმელში ჩაცმული ანსამბლის წევრები ტრადიციული ქართული სუფრითაც გაუმასპინძლდნენ ფესტივალის სტუმრებს.

"ვომადის" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით ფესტივალის დახურვა ანსამბლ " იადონს" დაევალა. შემავჯამებელ კონცერტს უამრავი ხალხი ესწრებოდა.განსაკუთრებით დიდი მოწონება და მსმენელთა აღფრთოვანება გურულმა კრიმანჭულმა გამოიწვია.

კონკურსი დოკუმენტური ფილმის მოსამზადებლად გურიის რეგიონის სკოლებისათვის

ევროკავშირი

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი აცხადებს კონკურსს გურიის რეგიონში მოქმედი სკოლებისათვის (საჯარო და არასაჯარო) დოკუმენტური ფილმების მოსამზადებლად ყოფილი პატიმრებისა და პირობითმსჯავრდებულების რესოციალიზაციის საკითხებზე.

კონკურსის მიზანი

შეიქმნას 10 წუთიანი დოკუმენტური ფილმი ყოფილი პატიმრებისა და პირობითმსჯავრდებულების რესოციალიზაციის თემატიკაზე, რომლის ჩვენებაც გამიზნულია ფართო საზოგადოებისათვის. ფილმი უნდა ასახავდეს მოზარდების ხედვას ყოფილი პატიმრებისა და პირობითმსჯავრდებულების რესოციალიზაციის საკითხებზე.

ფილმის მომზადების პირობები და ვადები

ფილმის მომზადება უნდა მოხდეს უშუალოდ მონაწილე სკოლების მოსწავლეების მიერ, შინაარსობრივ და თემატურ საკითხებში მოზრდილების ჩარევის გარეშე (ასეთის შემჩნევის შემთხვევაში ფილმი ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს და არ შეფასდება). კონკურსში მონაწილე ფილმები უნდა იყოს მხოლოდ მონაწილე სკოლის ნამუშევარი და ნებისმიერი პლაგიატობა შეიძლება გახდეს ფილმის დისკვალიფიკაციის მიზეზი.

ფილმის მომზადებისთვის გათვალისწინებულია პერიოდი 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

მონაწილე სკოლებმა 2013 წლის 30 ნოემბრის 16:00-მდე ქვემოთ მოცემულ მისამართზე უნდა მოგვაწოდონ V ფორმატში ჩაწერილი ფილმი, კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილის გამომხატველი თანმხლები წერილითურთ.

კომპეტენტური ჟიური მოახდენს ფილმების შეფასებასა და გამოვლინდებიან I და II ადგილის მფლობელები. გამარჯვებული სკოლები მიიღებენ ჯილდოებს.

კონკურსი ტარდება პროექტის - „პირობითმსჯავრდებული ახალგაზრდებისა და არასრულწლოვნების რესოციალიზაციის ხელშეწყობა გურიის რეგიონში“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირთან პარტნიორობით.

საკონტაქტო მისამართი:
გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი
ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4 მეორე სართული (კინოს გვერდით)
ტელ: 599 156384; ელ.ფოსტა: **gyrc.info@gmail.com**

ნაადრევი ქორწინების თემაზე

გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გაიმართა გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თემაზე: „ნაადრევი ქორწინება და მასთან დაკავშირებული პრობლემები.“ ამ ღონისძიებაში ჩართული იყო სამოქალაქო განათლების კლუბის მოსწავლეები სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 15 სკოლიდან.

ღონისძიებას უძღვებოდა ინგა დუმბაძე.

წარმოდგინეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გოგონათა პრობლემების შესახებ სკოლაში. შემდეგ კი ნაადრევ ქორწინებაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრეს.

ღონისძიების მონაწილე გოგონებს ესაუბრნენ ექიმი ირინა კოპალეიშვილი, ფსიქოლოგი თამარ აბაშმაძე და ია ურუშაძე.

საქმე კეთილი



იმ ადამიანთა შორის, ვისაც დიდი წვლილი მოუძღვის ოზურგეთში კარგი საქმეების კეთებაში, უპირველესად მშენებელი სულიკო ცქვიტინიძე უნდა მოვიხსენიოთ.

ამ მშვიდობაურელი კაცისათვის რომელმაც ცხოვრების რთული გზა განვლო და დიდ წარმატებას მიაღწია, მშობლიური ოზურგეთი იყო უპირველესი.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს იგი აფხაზეთში,ქ. გუდაუთაში საკავშიროს დაქვემდებარების დიდ საშენებლო ტრესტს ხელმძღვანელობდა. ამ ორგანიზაციას ფილიალები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ჰქონდა და იმ დროისათვის შენებლობაში თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებდნენ.

სულიკო ცქვიტინიძე აღიარებული მშენებელი იყო აფხაზეთში, მაგრამ გული ოზურგეთისკენ მოუწევდა. სოფ. მერიაში ვერ საამშენებლო უბანი გახსნა, შემდეგ კი მთავარი ოფისი გუდაუთიდან ოზურგეთში გადმოიტანა. ამის გაკეთება საბჭოთა პერიოდში რთული იყო, მაგრამ სულიკოსნაირი ადამიანებისთვის არა. ფაქტიურად იგი ოზურგეთში ჩამოვიდა საკავშირო თანხებით დაფინანსებული ორგანიზაციით, რაც ნამდვილად დიდი საჩუქარი იყო ამ მხარისათვის.

სულიკო ცქვიტინიძემ არაერთი საწარმო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი ააშენა ოზურგეთში.

დღეს მხოლოდ ვიხსენებთ არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტის სახელს: პანსიონატი „მოსკოვი,“რომელიც გურიაში ტურიზმის განვითარების მძლავრი კერა გახდა. 1991-1992 წლებში აქ ქართული გვარდიის ოზურგეთის ბატალიონის განთავსების და გასვლის შემდეგ განადგურდა; მშვიდობაურის ჩაის ფაბრიკა–უნიკალური დანადგარებით, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაშალეს და გაყიდეს; სოფ. მშვიდობაურში ტურისტული ცენტრი 6სართულიანი აგურის შენობით, ორი აუზით, აუქციონზე მიზერულ ფასად გაიყიდა და აგურ-აგურ დაშალეს.. რესტორანი, საცხოვრებელი კორპუსი და ა.შ.

ოზურგეთში ტროლეიბუსის ხაზის ამოქმედება ასევე სულიკო ცქვიტინიძის დამსახურება იყო. 2006 წლიდან მაშინდელმა გუბერნატორმა (ცინცაძემ) ტროლეიბუსის მიმოსვლას ოზურგეთში წერტილი დაუსვა, მაგრამ ქალაქის განათების სამსახურშია ტროლეიბუსისათვის განკუთვნილი ასეულობით რკინის ბოძი.

საბედნიეროდ, ოზურგეთში პანსიონატი „მოსკოვის“მიმდებარე ტერიტორიაზე გადარჩა აგურით ნაგები საცხოვრებელი ბინა, რომელიც გვიქმნის ნათელ მაგალითს, თუ რა დონის მშენებლობას ეწეოდნენ ისინი.

ცალკე თემაა გზები. გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში გაკეთებული ოზურგეთი-ჩოხატაურის ტრასიდან დაწყებული ბახვი-მშვიდობაურის გზა ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის გზა გახლდათ და ეს გზა თითქმის 20 წელზე მეტი ემსახურა ამ კუთხის მოსახლეობას...

სულიკო ცქვიტინიძე ხშირი სტუმარი იყო ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხნის და აქ იგი საკუთარი ხელით აკეთებდა მის მიერ გამოგონებელ ჩაის ნარჩენების გადამამუშავებელ მანქანებს, მცირე ჰესებს და სხვა დანადგარებს.

ჰქონდა დიდი ფანტაზია და ზოგჯერ ისეთ თემებსაც ეჭიდებოდა, რასაც საზოგადოების ერთი ნაწილი ვერ აღიქვამდა, რასაც ერთი ჩვენი კოლეგის მიერ გულსატკენი სტატიაც მოჰყვა, მაგრამ ამ საოცარ კაცს ისე ჰქონდა ძვალსა და რბილში სიკეთის კეთების სურვილი, რომ ამას არად აგდებდა. თავის სიხარულს და გულისტკივილს, მის გატაცებას ლექსებს ანდობდა,რომლის შინაარსიც უახლოესმა გარემოცვამ თუ იცოდა.

მოხდა ისე, რომ იგი მოწმე გახდა, თუ როგორ ინგრეოდა ქვეყანა და მის მიერ აშენებულიც. ჯანმრთელობამაც უღალატა. 1997 წელს მისი ანდერძისამებრ სოფ. მშვიდობაურში ე.წ. მუზეუმის ეზოში დაკრძალეს

რატომღაც მივიწყეს მისი საფლავი. გარშემო ბევრი რამ იძარცვებოდა, ინგრეოდა

სულიკო ცქვიტინიძის ერთ-ერთმა მეგობარმა, მთისპირელმა, ამჟამად თბილისში მოღვაწე ბიზნესმენმა გერმანე თალაკვაძემ სასაფლაო კეთილმოაწყო. გასულ შაბათს სოფ. ბახვის ეკლესიის მღვდელს მამა ბესარიონს აკურთხებინა იგი.

ხოლო გუშინ მის საფლავთან სულიკო ცქვიტინიძის მეგობრები და ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

მამა ბესარიონმა მამა მათეს (გორდელაძე) ნაამბობი გაიხსენა, თუ როგორ დაეხმარა მამა მათეს კვირიკეთის ეკლესიის მშენებლობისას საამშენებლო მასალით აწ. გარდაცვლილი სულიკო ცვიტინიძე.

ეს მცირე მოგონება სულიკო ცქვიტინიძის მიერ ოზურგეთში გაკეთებული საქმის არასრული ჩამონათვალია. მას ასე სწამდა კეთილი ქმენ და საკეთილო საქმით განვლე სიცოცხლის დღეები.

მაღლობა მათ

ქ. ოზურგეთში, ექადიანასეულის გზაზე საკმაოდ დიდი ქუჩაა უნივერსიტეტის ქუჩა, სადაც წლების წინ არ იდგა გზის პრობლემა, მაგრამ ბოლო წლებში ეს გზა ძალიან დაზიანდა და ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩა. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, პირველ რიგში მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ გიორგი ღურჯუმელიძემ იზრუნა რომ უნივერსიტეტის ქუჩა წლევანდელ განსახორციელებელ პროექტების სიაში მოხვედრილიყო.

ამ შაბათ-კვირას „ბლექსი ჯგუფმა“ აქ ასფალტის ახალი საფარი დააგო და არა მარტო უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრებლებს, ანასეულელებს და ნარუჯალაითურის მცხოვრებლებსაც გზის ამ მონაკვეთზე მგზავრობა გაუადვილა.

ასევე სასიხარულოა, რომ გვარდეგა წყლის პრობლემაც. ახალი მილები უკვე შემოტანილია. საერთო სიხარულია, რომ ანასეულში საბავშვო ბაღში კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს და მალე არა მარტო ანასეულის,ჩვენი უბნის პატარებიც თანამედროვე ბაღში ივლიან.

ერთადერთი, რაც ჯერ-ჯერობით ვერ მოვაგვარეთ, ელექტრობოძების პრობლემაა. ვთხოვთ „ენერგო პრო ჯორჯიას“ოზურგეთის სერვისცენტრს, ყველაზე ავარიული რამდენიმე ბოძი იქნებ შეცვალონ.

ციცა ჯინჭარაძე.

დისკუსია დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, თავად ცენტრისა და დამოუკიდებელ ფემინისტთა ჯგუფის ინიციატივით გაიმართა დისკუსია თემაზე „ქალის როლი გადაწყვეტილებების მიღებაში – თანამედროვე საქართველოს კონტექსტი“. ნაჩვენები იქნა ამავე ჯგუფის მიერ გადაღებული დუკუმენტური ფილმი „უთქმელი ისტორიები“, რომელიც XIX ს-ისა და XX ს-ის მიჯნის მოღვაწე სამი ქალბატონის: ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის, კატო მიქელაძისა და ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას შეეხებოდა. ფილმის პერსონაჟები დარჩნენ საუკუნის აქტიურ, ნიჭიერ ქალთა სახეებად, რომლებმაც წინააღმდეგობების მიუხედავად, შესძლეს არა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების თუნდაც ნაწილობრივი რეალიზება, არამედ სხვებზე ზრუნვა და მათთვის გზის გაკვალვა. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. აღინიშნა, რომ არაერთი ღირსეული ქალბატონი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გურიაში, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში.

რა ეშველება „მერცხალს“?

ოზურგეთის „მერცხალის“ გულშემატკივრები რედაქციაში მოდიან, ქუჩაში შეხვედრებისას გვსაყვედურობენ, რატომ მწვავედ არ ვაშუქებთ თუ რა დაემართა ოზურგეთის „მერცხალს?“

ხონში, „იმერეთთან“მოპოვებული პირველი ქულის შემდეგ იმედი მოგვეცა, რომ „მერცხალის“ფეხბურთელები უფრო მონდომებით იბრძოლებდნენ მომდევნო მატჩში, მით უმეტეს ბოლო ადგილზე მყოფ ბათუმის „ლუკასათვის“ უნდა ემასპინძლა.

„მერცხალმა“ ეს შეხვედრაც წააგო (1:2) და კიდევ უფრო კატასტროფული გახადა სატურნირო მდგომარეობა. მას7 მატჩის შემდეგ, 21 შესაძლებლობიდან ერთი ქულა აქვს. ვიცით, ამაზე ჩვენზე მეტად წუხს გუნდის ხელმძღვანელობა, მაგრამ ასეთი გუნდით შორს ვერ წავალთ. გუნდი უნდა გაძლიერდეს...

ნიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეთერ თოთიბაძეს ძმის, **ლევან თოთიბაძის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

გუგული ჩხაიძე, შორენა, სუზანა, მარინა კვაჭანტირაძეები თანაუგრძნობენ სვეტა გოხიძეს, ანანო, ნუგზარ ტაკიძეებს დედის, სიდედრისა და ბებიის **თალიკო გირკელიძე-გოხიძის** გარდაცვალების გამო.

იყიდება
2,5 ოთახიანი გარემონტებული ბინა მიწის ნაკვეთით.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის ქ.
ფასი შეთანხმებით.
ტელ. (593) 162 515 (მურმანი)

საერთაშორისო სამატჩო შეხვედრა მძლეოსნობაში

5-6 ოქტომბერს ქ. თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა 1999-2000 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა ღია საშემოდგომო პირველობას და ლატვია-საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის საერთაშორისო სამატჩო შეხვედრას უმასპინძლა. ამ პირველობაში ოზურგეთელი მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ: ბესო ჩხაიძე, ელენე ტოლსტოვა, დათო კვანჭიანი, ლადო ქათამაძე, გიორგი ბარამიძე,ნანუკა პაკელიანი, სერგო ხანჩალიანი.

ელენე ტოლსტოვა თბილისის სახელით გამოდიოდა სამჭიდში, 60მ, 100 მ. ხარჯებით და 200 მ. დისტანციებზე იღებდა მონაწილეობას და თბილისის ნაკრებს ჩასათვლელი ქულები მისცა.

საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ნანი პაკელიანი(I ადგილი ბადროს ტყორცნაში, III ადგილი ბირთვის კვრაში);

ბესო ჩხაიძემ II ადგილი დაიკავა შუბის ტყორცნაში, ხოლო დავით კვანჭიანმა III ადგილი –ბირთვის კვრაში.

საბოლოოდ საქართველოს ნაკრები 8 ქულით ჩამორჩა ლატვის ნაკრებს და II ადგილზე გავიდა. ეს ამ ასაკის სპორტსმენებს შორის პირველი ღია ჩემპიონატი იყო, რომელიც მაღალ დონეზე ჩატარდა. ოზურგეთელთა გუნდი მარინე კოტრიკაძემ მოამზადა.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru